# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



შაბათს, 19 დეკემბერს, ტფილისის სობრანიეში გამართული იქმნება

სალიტერატურო და სამუსიკო

## საღამო

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ღონის-ძიების გასაძლიერებლად.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ზარუდნაია (იმღერებს ქართულს სიმღერებს), იოსეფოვიჩი და კოკოვცევისა ბ-ნნი: იპპოლიტოვ-ივანოვი, პრიანიშნიკოვი, მედვედოვი, გ. ღ. ყორღანოვი, პრიბიკი, ი. სარაჯოვი. თ. დ. გ. ერისთავი, ვ. მ. თუმანიშვილი და იმღერებს ალნიაშვილის ხორო რატილის ლოტბარობით.

საღამოს შემდეგ იქნება

**ტანცები.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—2)


ტფილისი, 16 დეკემბერი

მკითხველი, რასაკვირველია, ყურადღებას მიაქცევდა იმ დეპეშებსა და ამბებსა, რომელსაც გაზეთები ჰბეჭდავდნენ ამას წინად ერთის მხრივ რუსეთისა და მეორეს მხრივ ავსტრიისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოთა შესახებ. ამ ამბებმა ძლიერ დააფიქრა მთელი ევროპა, რადგანაც ისინი მიაჩნდათ მოსალოდნელის საპოლიტიკო ცვლილებათა წინა-მორბედად. სულ იმას იწერებოდნენ, რომ ესა-და-ეს სახელმწიფო საომრად ემზადებაო, ამასა-და-ამას ამდენი-და-ამდენი ძალ-ღონე აქვსო და ყველას ერთი ძნელი საკითხავი უდგა თვალ-წინ: რითი დასრულდება ამდენი პოლიტიკური შფოთი და უსიამოვნება სახელმწიფოთა შორისაო, მაგრამ სურათი უცბად შეიცვალა და პოლიტიკაში მყუდროება ჩამოვარდა.

სახელმწიფონი ცოტათი დამოშმინდნენ, ასე რომ ბევრს იმედი აქვს, რომ მშვიდობიანობა, ერთა და სახელმწიფოთა საკეთილდღეოდ, დარღვეული არ იქნება, მაგრამ იმას-კი არავინ ამბობს, როდემდის გასტანს ეს მყუდროება, რამდენად დამკვიდრდა სახელმწიფოთა შორის თანხმობა და მშვიდობიანობა. ამის შესახებ გადაჭრილს პასუხს არავინ იძლევა, რადგანაც გამოცდილებით იციან, რომ პოლიტიკა ერთობ დაუდგრომელი და ცვალებადია.

ასეთის უეცარის საპოლიტიკო ცვლილების გამო ერთი საკითხავი იბადება: რა იყო იმის მიზეზი, რომ სახელმწიფოთა მეგობრული განწყობილება კინაღამ შეტაკებითა და სისხლის ღვრით არ გათავდა; რა იყო იმის მიზეზი, რომ უცბად ჩამოვარდა მშვიდობა და ყველას იმედი მიეცა, რომ ჯერ ჯერობით არავითარი უსიამოვნება არ არის მოსალოდნელიო.

ამის თაობაზე გაზეთებს დიდი სჯა და ლაპარაკი აქვთ და გამორკვევით-კი ვერა გამოურკვევიათ-რა, ხოლო არავინ ეჭვობს, რომ მიზეზი ამ ალიაქოთისა ისტორიული და ამიტომაც არც თავიდგან ასაცილებელია. რაც შეეხება მიზეზებს უეცარის ცვლილებისა და მყუდროების ჩამოვარდნისას, ზოგი იმას ამბობს, რომ ის დიდი ალიაქოთი ბისმარკმა ასტეხა, რადგანაც განზრახვა ჰქონდა ესარგებლნა სახელმწიფოების არამეგობრულის განწყობილებით, იმისათვის-რომ თვით გერმანიაში მოეხერხებინა ახალის სამხედრო რეფორმების შემოღება. ბისმარკს უნდოდა თვით გერმანია დაეფრთხო, რათა აიძულოს და კიდევ უფრო განაძლიეროს თავისი მხედრობაო. ზოგნი იმასაც უმატებენ, რომ ეს ერთად-ერთი მიზეზი არ არის; მართალია, ბისმარკმა კარგად ისარგებლა ამ შემთხვევით, მაგრამ მაინც იმისი განზრახვა ერთად-ერთი მიზეზი არა ყოფილა პოლიტიკის გაძნელებისაო.

მეორე აზრი ის არის, ვითომ სახელმწიფოთა განწყობილება შესცვალა ინგლისმა, რომელმაც განიზრახა დასწიოს საპოლიტიკო სასწორი მეორე მხრისაკენ; ამის საბუთად იმას ასახელებენ, რომ ლორდი ჩერჩილი პეტერბურგს მოვიდა, ვითომ-და საპოლიტიკო საქმეებზედ მოსალაპარაკებლადაო.

დასასრულ, ნება გვაქვს ვიკითხოთ, რამდენს ხანს გასტანს ეხლანდელი მყუდროება ევროპის საკეთილდღეოდ?

## ახალი ამბავი

*** 14 დეკემბერს, ღამე, თათრის მეიდნის ახლო, ერთს დუქანში მოუკლავთ ტფილელი მცხოვრები, გვარად ნონიაშვილი. მეექვსე განყოფილების ბოქაულის თანაშემწეს უკვე დაუჭერია დამნაშავე. საცოდავი ნონიაშვილი რამდენ-სამე ალაგას დაუჭრიათ ხანჯლით და მოკლული მოაჯირიდგან მტკვარში გადაუგდიათ, მაგრამ მდინარეს გვამი ნაპირას გამოურიყნია. გამოძიება სწარმოებს.

*** ნავთლუღელნი შემოგვჩივიან: აქამდის ორი ზედამხედველი გვყავნდა პოლიციის ნაწილისა, ეხლა-კი მარტო ერთია. ერთს არას გზით არ შეუძლიან თვალ-ყური ადევნოს ქალაქის ამოდენა ნაწილს და ამისათვის ქურდობამ იჩინა თავი: ამას წინად დეკანოზს ჩ—ძეს მოჰპარეს ძროხა და აქვე სასაყსბოებში დაჰკლესო. ეხლა კიდევ გლეხს გ. ბ—ეს მოჰპარეს იქაურებმავე ორი კამბეჩი, მაგრამ დაკვლა-კი ვერ მოესწროთ—შეეტყოთ და წაერთმევინათო.

*** არა ერთხელა გვქონდა მოხსენებული, რომ წყნეთის ქუჩა სწორედ ბუდე გახდა ტფილისის ჯიბგირებისა, ქურდებისა და სხვა ავაზაკებისა. დასახელებულიცა გვქონდა თვით დუქნები, სადაც ეს ავ-კაცები თავს იყრიან, ჩხუბობენ შუა-ღამემდე და კიდევ დიდხანაც ილანძღებიან და ჰლანძღავენ გამვლელ-გამომვლელს და ნაჩვენები გვქონდა კიდევ ბევრი სხვა მათი საზიზღარი საქციელი. ეტყობა, ჩვენს შენიშვნებს და ამ ქუჩაზე მცხოვრებთა გაჭირებულ მდგომარეობას არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება. აი ეხლაც შემოგვჩივიან, რომ მოსვენება არა აქვთ ამ ზნე-დაცემულ ადამიანებისაგან. დღე არ გაივლის, რომ უბედურება რამ არ დატრიალდეს. მცხოვრებთა მოსვენება არა აქვთ ჯერ დღისითა და ღამით ხომ ყველას ეშინიან და თავი გარედ ვერ გამოუყვია. მეტადრე ქალები არიან საშინლად შევიწროებულნი—რა-კი ერთი შებინდდება, უთუოდ უნდა ჩაიკეტონ კარები. ვაი მანდილოსნის ბრალი, თუ ბინდ-ბუნდზე ქუჩაში გაივლის: კინტოები სწვდებიან და ბიაბრუობას აჭმევენ. პოლიციელიც ამ ქუჩაზე მარტო ერთი კაცია და ისიც სხვაგან არის ხოლმე სადღაც.

მეტადრე მაჭავარიანის დუქანს უჩივიან.

*** ამ წლის ნოემბრის თთვეში საფრანგეთში ფრანგულს ენაზე დაიბეჭდა ფრიად შესანიშნავი შრომა, ანტროპოლოგიური გამოკვლევა კავკასიაზე. ეს დიდი შრომა ეკუთვნის შესანიშნავს მეცნიერს ჰენრი შანტრს, რომელიც კარგა ხანია მუყაითად და გულ-მოდგინედ სწავლობს საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის ისტორიასა და სიძველეთა. დღეს ამ მოხსენებულ უზარმაზარ თხზულებაში შანტრს მოუქცევია მრავალი (450—600-მდე) სურათები კავკასიის

## ფელეტონი

### ფოთის ცხოვრებიდამ

ჩემს კალამს მავნე სული ჩამოეკიდა.—იგი წაღმართს უკუღმა აჩვენებს.—ქალები გადარია.—ეშმაკის განდევნის საშუალება მელანი ყოფილა.—ფოთის თავის კვეთა და მისი ახალი მდგომარეობა.—იმის ცხოვრებაში ბევრი რამ ახალი და სანუგეშოა.—ფოთის მტერ-მოყვარენი.—შავი ზღვა, რიონი, კაპარჭა, პალეასტომი, კოლონი და ჭაობნი.

ამდენს ხანს რა გამაჩერებდა, როგორ არ მოვიწერებოდი, აღთქმისამებრ ჩემისა, იმ საგნების შესახებ, რომელნიც მე ჩამოთვლილი მქონდა ფელეტონში (№ 187), მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ყოველს კეთილს განზრახულებას უთუოდ მტერი გამოუჩნდება ხოლმე: ამ ჩემს კალამსაც ჩამოეკიდა ვიღაც, ჩემ მიერ შეუმჩნეველი, ბოროტი სული და მოსვენებას არ აძლევს. უნდა გამოვტყდე, ვიდრე იმის ვინაობას გავიგებდი, შევჩერდი და შევჩერდი იმიტომ, რომ ჩვენს კუთხეულს საქართველოში ათას ნაირი მკითხველია ათას ნაირ შეხედულებისა, ჭკუა-გონებისა, მოსაზრებისა და ხასიათისა. ამ მრავალ მკითხველთა შორის არიან ისეთიც, რომ წაღმა ნათქვამს უკუღმა გაიგონებს, მართლის თქმა გულზე გახეთქავს, ქება გინებად მიაჩნია და მიძღვნილს „ღვთის წყალობას“ ღვთის რისხვად ჩამოგართმევს ხოლმე. ასეთის მკითხველებისათვის ის ჩემი კალმის ეშმაკი სწორედ კბილი მატლს რომ იტყვიან, ის არის: შეუჩდება ამ მკითხველებს ზემოხსენებული მაცდური და, მე რომ დავწერო—ამა-და-ამ კუთხის ქალები ტიურნიურს არ იკეთებენ-მეთქი, იგი გამოათარგმანებს, ვითომც მე ვამტკიცებდე, რომ უტიურნიურონი დადიან მანდილოსნები მეთქი. ყველა მოჰყვება ჩემს კილვას: ქა, ვინ მოსწრებია, ახლა უამბალიშოდ ქალის მორთულობაო. რომ დავწერო მარტივად იცვამენ-თქო, ის ახსნის—მარტო ყოფნა უყვართო, კოხტად იხურვენ-თქო, რომა ვთქვა—კარგად იცმენ-თქო, ის გაიძახის, ჯამბაზობას გვწამებენო. ლერწამ ტანოვანად რომ დავასახელო, კუზიანებს გვძახითო. ერთის სიტყვით, ყველაფერს, რასაც-კი დავწერ, გადაატრიალებს და წაღმა პირის ნაცვლად უკუღმას აჩვენებს ხოლმე ზოგიერთს მკითხველებს და უფრო არა-მკითხველებს.

ამ ბოროტმა სულმა მეტად შემაწუხა და არ ვიცი, როგორ მოვიშორო თავიდამ?! მეტი გზა არა მაქვს, ვიხმარებ იმ საშუალებას, რომელიც გერმანელმა სარწმუნოების მოძღვარმა იხმარა ეშმაკის განდევნისათვის. გეცოდინებათ, ლიუტერს აუჩნდა ერთი ბოროტი სული და ბედის წერას აწყვეტინებდა; როცა ილაჯი გაუწყვიტა, მოუქნია მელნით სავსე საწერელი, სთხლიშა თავში, საწერელი დაიმჩხვრა და მელანით ცხვირ-პირი შეეღება მავნე სულსა. ის იყო და ის: ეშმაკი იმის არე-მარეზე აღარ გაჭაჭანებულა და არ გაჭაჭანებულა თურმე იმიტომ, რომ ეშმაკს ისე არაფრისა არა შინებია, როგორც მელნისა. თუ ასეა, ვინ თავზე ხელ-აღებული ერთს ჩაფს მელანს არ გადაასხამდა ამ ჩემს მტერს, რომ სადმე შემახვედრა, მაგრამ ეშმაკი იმიტომ არის ეშმაკი, რომ იმისი თვალით დანახვა ძნელია ამ ქვეყანაზე და, თუ ღმერთმა ინება და შარშანდელულად კუდიანეთში ამოვყავ თავი, სად წამივა!! იქ უთუოდ თავს წავაწყდები და აბა მაშინ ნახოს, როგორ ორშაბათის ყეენივით გამურული გამოვიყვანო. მანამდის ინავარდოს და ეხლა ისევ ფოთზე მოვილაპარაკებ პირობისამებრ, თუმცა ის მავნე სული უთუოდ აქაც გაჩნდება და თავის ოინებს არ მოიშლის.

ფოთი დღეს იგი არ არის, რაც ადრე იყო: იმისი დღევანდელი მდგომარეობა სულ სხვა მდგომარეობაა. იმას ახალი თვით-მმართველობა, ახალი თავი და ახალი ხმოსნები ჰყავს. ახალი თავი თვით ქალაქმა მოიწვია და მოიდგა თავის ახალს ტანზე, ძველი თავი მმართებლობის მიერ მოწვეული და მიდგმული გახლდათ, მაგრამ ისე შეხორცებოდა სატროფოტანს, რომ, როცა მოეკვეთა, მრავალნი ძარღვნი კიდევ გაჰყვნენ მას და, შესაძლებელია, ძარღვთა მათ ხელ-ახლა აღადგინონ ძველსა თავსა და ახალს ტანს შორის მიმდინარეობა სისხლისა და კავშირი შეერთებისა. მაგრამ იმისას ვერას ვიტყვი, რამდენად მშვენიერი სურათი წარმოგვიდგება ამ გვარ ძველის თავის ახალ ტანთან შეერთებით და საზოგადოდ-კი შენიშნულია, რომ ახალს და ქორფა ტანს სწორედ არ დაშვენდება ძველი თავი. მაგრამ საქმე ისაა, ქალაქი ფოთი მართლა ახალს ტანს წარმოადგენს თუ არა, მთლად ახალია იგი თუ არა. ამის თქმა სწორედ ძნელია, მაგრამ რომ ფოთის ცხოვრებაში ბევრი რამ ახალია, ამას დიდი დამტკიცება არ უნდა: ზევითაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ მას ჰყავს ახალი თავი და ახალი ხმოსნები, ქალაქის შემოსავალს მოემატა ახალი ხარკი (ნახევარ კაპეიკისა), ახლა წარმოსდგა ახალის სახით ფოთისა და გურულების შორის ადრინდელი დავაცილება ძეირფასის ადგილების შესახებ; ახლა დაიღუპა აქ ვებერთელა გემი, რომლის გამოც მაღალ წრეებში აყაყანდნენ მეტყველნი ზღვათანი, დაიწყეს ლაპარაკი ფოთის ბედ-იღბალზე, დაუწყეს სოხუმთან შედარება და ზოგიერთმა მოკლე მჭვრეტელთაგანმა ასეთი აჩირებული აზრიც წარმოსთქვეს: ფოთი დავცეთ და აღვამაღლოთ სოხუმიო.

ამდენს ხანს ყოველი რუსული გაზეთი და იმათი მოციქული შ—ვი მფარველი და მცველი, მწე და მლა-

და საქართველოს ნაშთებისა: ეკკლესიებისა, ციხეებისა, საცმელისა, იარაღებისა და სხვა. ფასი „ანტროპოლოგიურ გამოკვლევისა კავკასიაზედ“ ღირს 300 ფრანკი, ანუ 120 მანეთამდე. თუმცა ასეთის დიდის ფასისაა ეს წიგნი, კავკასიის მკვლევარნი, იმედია, ამ გარემოებას არ შეუშინდებიან და შეიძენენ წიგნსა.

⁂ ამ თთვის დამდეგს ქალაქში გავრცელდა სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა: ყვავილი, ქუნთრუშა და სხ. ამ მოარულის ავადმყოფობით ავად გახდა რამდენიმე შეგირდი ტფილისის სასულიერო სასწავლებლისა. რომ სხვა შეგირდებსაც არ გადასდებოდა, საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესმა პალლადიმ, საჭიროდ სცნო შეჩერებინა სწავლა ხსენებულ სასწავლებელში და დაეთხოვნა შეგირდები 16 დეკემბერს.

⁂ ქართლი: საოცარი თბილი დღეებია დღეს ქართლში. მუშა ხალხი ძრიელ ემადლიერება ამისთანა დარებსა; ვენახები შეიმუშავეს: დაბარეს, გასხიპეს, სარი დაჩეკეს. ამ სითბოებმა იქამდის იმოქმედა, რომ ღვინობისთთვეში ზოგან და ზოგან ხეხილმა გამოიწია. ბევრგან ვაშლმა ახალი ნაყოფი გამოიღო. ამას არ დავიჯერებდით, რომ თვით ჩვენის თვალით არ გვენახა. ასე გასინჯეთ, სოფ. მერეთშიაც-კი, რომელიც თითქმის მთა ალაგია, იქაც-კი გამოიღო ხილმა ახალი ნაყოფი. თუ ასეთი სითბოები დაიჭირა, ხეხილს დააზიანებს, ერთხელაც იქნება ყინვებს დაიჭერს და მოახმობსო.

⁂ იქიდამვე: გორის მაზრის ადმინისტრაციამ სასტიკი ყურადღება მიაქცია გზების გაკეთებასა. ბრძანებაა გაცემული, რომ სოფლიდამ სოფლამდე გზა-ტკეცილები დაკეთდეს. ხალხი ურმებით კიდეც გაიყვანეს და გახურებული მუშაობაა დღეს თითქმის ყველგანა. მშვენიერმა დარმაც ხელი მოუმართა და მუშაობა გვარიანად მიდის. თუ უმუყაითეს, ზაფხულისათვის თითქმის ყველა სოფელი ქართლისა გზა-ტკეცილებით იქნება გადაბმული ერთი-ერთმანერთზე და ეს პატარა გზები შეერთებული იქნება დიდს გზებთან. თუმცა ხალხი პატარა ხანს შესწუხდება, მაგრამ შემდეგში ბევრს შვებასა და სიამოვნებას მოიმკის.

⁂ იქიდამვე: შარშან მთელი ქართლი მოდებული იყო პურისა და სხვა ხორაგეულობის ვაჭრებითა. წელს მისწყდა იმათი ხსენება და ამიტომ ცოტა არ იყოს, რომ ფასში დაეცა პური. მაგრამ უცბად ამ თთვეებში გაჩნდნენ პურის მყიდველნი და საზღვარ-გარედ მიეზიდებიან. ყიდულობენ პურსა და ქერსა. ჯერ სიმინდის მუშტარი არ გაჩენილა. პური სამ აბაზიდამ თოთხმეტ შაურამდეა ფუთი; ქერი ცხრა შაური და ცოტა რამ მეტი.

⁂ გორი: როგორც შევიტყეთ, ერთი ახალგაზდა კაცი მომავალის წლიდამ ეპირება, რომ გამართოს გორში წიგნის მაღაზია. ამ წიგნის მაღაზიაში იქნება სახელმძღვანელო წიგნები, სასწავლო ნივთები და ქართული საკითხავი წიგნებიო. ამ ახალგაზდა კაცს კარგად სცოდნია ყდის კეთება წიგნებისა. უნდა ვთქვათ, რომ გორში ყდის მკეთებელი არ იშოვება და ტფილისში ჰგზავნიან ამ საჭიროებისათვის წიგნებსა. ეს გარემოება ძალიან ხელს მოუმართავს წიგნის მაღაზიასა და მუშტარს გაუჩენს. იმედია, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“ ხელს მოუმართავს და წიგნებს გამოუგზავნის გასაყიდადა. ყველას ვალია, რომ ახალს საქმეს ხელი მოუმართონ. ამბობენ, წინა-პირველად იმდენი ფული არ ექნება, რომ ყველა წიგნი და ნივთი იქონიოს. ამიტომაც უფრო საჭიროა შეეწიონ.

## რუსული თეატრი

**პროლოგი „კოლხიდა“ ცხოველ სურათებითურთ და „ფოთოლნი შრიალებენ“, პიესა 5 მოქმედებად თ. სუმბათაშვილისა.**

15 დეკემბერს დაიწყო მოქმედება ჩვენმა ახალმა თეატრმა. პირველი წარმოდგენა რუსული წარმოდგენა იყო, მაგრამ ამ რუსულმა წარმოდგენამ ჩვენი საზოგადოება მრავლად მიიზიდა. მიიზიდა იმიტომაც, რომ ყველას უნდოდა ახალის თეატრის ნახვა და იმიტომაც, რომ პროლოგის შინაარსი საყურადღებო იყო ჩვენთვის. იმ გარემოებასაც მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომ პირველი პიესა, ფორკატის მიერ დანიშნული წარმოსადგენად, ჩვენის თანამემამულეს დაწერილია, ბ-ნ სუმბათაშვილის თხზულებაა.

მშვენიერი სანახავი იყო ამ საღამოს ეს ერთხელ ღარიბი და უშნო და დღეს-კი სასიამოვნოდ, მდიდრულად მორთული, პატარძალსავით მოკაზმული, გაბრწყინვალებული და მოხატულ-მოვარაყებული დარბაზი, ავსებით-ავსებული საზოგადოებითა. სასიამოვნო გულის-ძგერით და სიხარულით სინჯავდა ყველა ამ დარბაზსა, თვალი ყველას აცა-ბაცა გაურბოდა და არ იცოდა, რაზედ უფრო გაეჩერებინა დიდხანს, რის ცქერით უფრო დამტკბარიყო. ზოგი თვალ-ხარბად აცქერდებოდა და სინჯავდა ახალის ფარდას, რომელიც დაუხატია მხატვარს ბერიშვილს და რომელზედაც გამოხატული იყო საქართველოს მშვენიერთა სქესის წარმომადგენელნი ჯგუფ-ჯგუფად; ზოგს თვალი ლოჟებსა და იმათ მორთულობა-მოფარდაგებულობაზე რჩებოდა; ზოგს თვალი ჭერისათვის მიეპყრა და იქ სინჯავდა მხატვარის პოდაბოგისაგან დახატულს ბიუსტებს მსოფლიო გენიოსებისას, რომელთა შორის ჩვენი ქება-დიდება, ჩვენი შოთა რუსთაველიც ბრწყინავდა.

მუსიკამ გაათავა უვერტიურა; სცენიდამ მოგვესმა ქუხილი, გრგვინვა, ცის რუხრუხი; აიხადა ფარდა და თვალწინ წარმოგვიდგა ღრუბლები, კავკასიის მთები, რომლის ერთს მწვერვალზედ იდგა დედოფლის ტანთ-საცმელით მოსილი ქალი კოლხიდა. კოლხიდამ გვიამბო ლექსად კავკასიის თავგადასავალი ძველადგანვე, ოდეს პრომეთეოსი მიჯაჭვული იყო კავკასიის მთის კლდეზე. ამ დროს გამოჩნდა ცხოველ-სურათად თამარ დედოფალი, შემდეგ აჩრდილი პოეტის ლერმონტოვისა. ლერმონტოვი და კოლხიდა-ქალი შელაპარაკდნენ კავკასიის თაობაზე. შემდეგ რიგ-რიგად გამოჩნდნენ ცხოველ-სურათადვე აჩრდილნი პოეტის პუშკინისა, შოთა რუსთაველისა, გრიბოედოვისა, პავლე დიმიტრის ძის ციციშვილისა, მ. ს. ვორონცოვისა. თითოეულს ამბავს ლექსად გვაუწყებდ კოლხიდა-ქალი, მფარველი კავკასიისა, დედა საქართველოსი. დასასრულ, ცხოველ სურათად გამოჩნდა ჯგუფი ქალებისა. რუსულად ჩაცმულს ქალს ხელი გადახვეული აქვს კავკასიის სხვა-და-სხვა ერთა წარმომადგენელის ქალისათვის. მუსიკამ დაუკრა საერო საგალობელი „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესაო“... და მთელი საზოგადოება ფეხზედ წამოდგა.

სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ამ პროლოგმა ისე სასიამოვნოდ ვერ ჩაიარა, როგორც სასურველი იყო. ცხოველს სურათებს კარგად ვერ აშუქებდა ბენგალის ცეცხლი. თვით ისინიც, ვინც ცხოველ სურათებად იდგნენ, შესაფერისნი არ იყვნენ. თამარ მეფე სრულიად არა ჰგავნდა იმ დიდებულს და ძლევა-მოსილს თამარ მეფეს, რომელსაც თაყვანსა სცემს ქართველის ერი. სახელოვანი სარდალი პ. დ. ციციშვილი,—ეს თავ-ზარდამცემი საქართველოს მტრებისა,—მუშას უფრო ჰგავნდა, ვიდრე ბრგესა და ახოვანს, მრისხანე მხედართმთავარსა.

ორიოდე სიტყვასაც ვიტყვით ბ-ნ სუმბათაშვილის პიესაზე და იმის აღსრულებაზედ. ბ-ნ სუმბათაშვილის პიესა—„ფოთოლნი შრიალებენ“ ურიგო პიესა არ არის. საკმაოდ მოსაწონიც არის იმ მხრივ, რომ ეხლანდელი, თანამედროვე ჰანგებია, მოტივებია ამ პიესაში ხელ-ჩაჭიდებული. ამ პიესის სახელს, მოწონებას მხოლოდ ის უშლის, რომ ალაგ-ალაგ მეტად გაჭიანურებულია, ალაგ-ალაგ თითქმის განმეორებულია სცენები. თითო-ოროლა სცენა თითქო გეცნობა კიდეც და ნახული გგონია წინადვე. არტისტები საზოგადოდ კარგად თამაშობდნენ, მწყობრად და თანხმობით ასრულებდნენ თავიანთ როლებსა, თუმცა არ ითქმის, რომ ფორკატის დასში ბლომად ერიოს ჭეშმარიტად ნიჭიერი და დახელოვნებული არტისტები. ესეც-კია, რომ ერთის წარმოდგენის ნახვა არა კმარა არტისტების ავ-კარგიანობის დასაფასებლად. ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია მაიეროვისა და პავლოვის ქალის [illegible]ამაშობამ. კ[illegible]რგი იყო აგრეთვე მოახლე. არტისტებ შორის მეტად მოეწონათ კომიკი ვოლხოვსკოი, ავტორი პროლოგისა.

[illegible]ელმა წარმოდგენამ მცირეოდენი [illegible]ლულევანებანი აღმოაჩინა სათეატრო დარბაზისა. ეს ნაკლულევანე[illegible]ა უხერხულებანი შენიშნულ იქმნა, [illegible] ჯერ იყო, და მალე გას[illegible]ება. ელექტრონის სანათი, მეტადრე ფოიეში, ჯერ-ჯერობით მკრთალი და სუსტი იყო, რადგან ჯერ ე[illegible]რონის მზე არ მოსულა საზღვარ-გარეთიდამ და საზოგადოდ ამ საქმის მოწყობა არ დამთავრებულა.

გუშაგი

## სახელდახელო

**საკვირველი ცნობის მოყვარეობა.**

არც სკოლების გამრავლება, არც თეატრში სიარული და არც წიგნების ხშირი ბეჭდვა არ არის საკ[illegible]სი საბუთი იმისი, რომ ხალხმა იგემა განათლების მნიშვნელობა, რომ გაეხსნა მადა ცნობის-მოყვარეობისა და მტკიცე ნიადაგზე მოიკიდა ფეხი წარმატებისათვის. შეიძლება სკოლები დაარსონ თავ-მოსაწონებლად, რა არის [illegible]ქვეყანამა თქვას—ისინიც მარაქაში ურევიანო; შეიძლება თეატრშიაც დადიოდეს საზოგადოება მითომ-და ესტეტიკურ გრძნობათა დასატკბობად, მაგრამ გულში-კი იძახოდეს—რის ესტეტიკა, რის ფლავი და ბოზბაში, ერთმანეთის მოსატყუებლად დავიარებით თეატრშიო. ხშირად ისიც შესაძლოა, რომ ყოველ დღე რაიმე ახალი წიგნი იბეჭდებოდეს, მაგრამ წამკითხველი-კი ფარნით საძებნელი გამხდარიყოს, როგორც, მაგალითად, დღეს ჩვენში გახლავთ, ჩემო კარგო მკითხველო.

მხოლოდ ერთად-ერთი უტყუარი ნიშანი იმისა, რომ საზოგადოებაში მართლა გაუდგამს ფესვები ნამდვილს ცნობის-მოყვარეობას, მაშინ იჩენს თავსა, როდესაც შინაურობაში თუ ერთმანერთთან მისვლა-მოსვლაში გაცხარებული ბაასი იმართება სხვა-და-სხვა სამეცნიერო ამბებზე და როდესაც ეს ბაასი სასურველი ხდება და-

---

ლადებელი იყვნენ ზღვაში ჩადგმულ ნავთ-საყუდელისა, ახლა „Нов. Обоз.“-ემ პალიასტომის ნავთ-სადგურად გაკეთება ამჯობინა. ახლა გაკეთებულა აქ სცენა და რუსულ-ქართული წარმოდგენები იმართება თურმე და ახლა დაიწყეს ჩვეილი აქაურ სცენის მოყვარეთ: აქაური ქალი და კაცი ბანქოს არიან გადაყოლილნი, და თეატრში, პირიქით რომ მისცე ფული, მაშინაც არ წავა, თორემ პირ-აქეთ ბილეთს როგორ იყიდისო. ახლა დაარსდა აქ გურია-სამეგრელოს საეპარქიო კათედრა და ახლა ჰქონდათ დიდი მეცადინეობა ქალაქს, რომ კათედრასთან სასულიერო სასწავლებელიც მოთავსებულიყო. ახლა გამოჰყო თავი ფოთში რეალურ სასწავლებლის დაარსების სურვილმა და ვინ იცის, კიდევ რა ახალ-ახალი მოვლენა არის ამ პატარა ზღვის პირის ქალაქის ცხოვრებაში. სწორედ მოგახსენოთ, ეს კარგი ნიშანია, სიცოცხლე სწყურიან ქალაქს, უნდა გაზრდა-გახარება, უნდა გაფართოება და გამშვენება. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ რამდენადაც უფრო ელტვის კაცი თავის გაბედნიერებას, ფრთის გაშლას, გაფართოებას, განცხრომას და გალაღებას, იმდენად მრავალს მტერს აჩენს, იმდენად მრავალს ეკალს დაადგამს ფეხს, იმდენად ღრეკლდოვანი ალაგები შეხვდება წინ. ფოთი ოთხ-ხუთ წელიწადს გაბედნიერდებოდა სამუდამოდ, რომ ყოველი გარემოება ხელს უწყობდეს, რომ მტერი მტრად ექცეოდეს და მოყვარე მოყვრულად. მას ეგ არა სჭირს. ერთი და იგივე ბუნებრივი და ხელოვნური მოვლენა, ერთი და იგივე მახლობელი თუ შორეული მეზობელი ერთსა და იმავე დროს არც მტრობას აკლებს, არც მოყვრობას. ჩამოვთვალოთ იმისი ორმაგი და ორ-პირი მტერ-მოყვარენი:

იმისი მტერ-მოყვარეა ზღვა შავი, გაუმაძღარი და ავი: მტერია, როცა აღელდება და ფრთონავს; ნავთა და ჭურჭელთა ამსხვრევ-ამტვრევს, ანძააფრა ყირამალა გადააქვს, ვაჭრობას აფერხებს, ქალაქს ზარალს აძლევს და ფოთის სახელსა სტეხავს, მაგრამ იგივე ზღვა მოყვარეა, როცა დამშვიდებული და მოსარკულია, ზე გადაგვაქვს კავკასიის ნაწარმოები სიმინდი, ნავთი, ნახშირი, ქვა-გუნდა და სხვა მრავალი აურაცხელი საქონელი, შიგა ვბანაობთ და ვჭყუპალაობთ.

იმისი მტერია პალეასტომი და კაპარჩაი, რომელნიც აღურიცხველ სენის მატარებელს ჭია-ღუებს ავრცელებენ ჰაერში და ამით გვიწამლავენ სტომაქს, მაგრამ მოყვარე არიან მაშინ, როცა ცოცხალ-ცოცხალ კიფალ-კაპარჭინას გობზე აგვიშხართალებენ და ხიზილალასთან ერთად ამ გემრიელ თევზებით სუფრას მოგვირთვენ და საუზმესადილს შეგვიკაზმავენ. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი ვაჭრის ჯიბე გაუმდიდრებიათ ამ ტბა-მდინარეს, მაგრამ მასთანავე ვინ აღრიცხავს, რამდენი ბროწეულივით ღაწვი გაუყვითლებიათ და გუდა-ღელესავით დაუჩირებიათ?!. ფოთის მტერია აქაური წუილა კოღო მაისს, ივნისს, ივლისს და აგვისტოში, როცა ადამიანის ხელებზე და ყელ-ყურებზე ნავარდობენ, ჰკბენენ და კანს უსისხლიანებენ, მაგრამ, მე მგონია, მოყვარენიც არიან: უთუოდ მრავალს სენის მატარებელ ჭია-ღუებსა სანსლავენ და ამით ცოტად თუ ბევრად ჰაერის საწამლავს აქარწყლებენ.

ფოთის მტერ-მოყვარეა რიონიც: იმის ფსკერს ყოველ წლობით სიმაღლე ემატება, წყალი მაღლა იწევს, ფოთის ნიადაგს ჭაობს უმატებს და ზე ქვასა და ქვიშას აყრის, რის გამოც შარშანდელი ცხრა საფეხურიანი კიბე სახლისა წელს რვა საფეხურიანად გახდება და გაისად შვიდ საფეხურიანი-ღა მოუნდება. მაგრამ იგივე რიონი დიდი სასარგებლო და ბევრნაირად გამოსადეგი მოყვარეა ფოთისათვის: მთელის იმერეთის საზუთხე აქ არის, რამდენს ვაჭარს გაუტენია ჯიბე აქაურის ზუთხის ვაჭრობით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქუთაისში ბანკის და მარშლის „კენჭობია“ ყოფილა. რომ რიონი არა ყოფილიყო, იმ სიგრძესა და იმ სიმაგრე ხიდს რაზედ გააკეთებდნენ და იმდენი შემოსავალი საიდამ შემოუკიდოდა ქალაქს, რამდენსაც რიონის ხიდი აძლევს; რომ რიონი არა, სად იშოვნიდნენ ყავა-ჩაისათვის და სასმელად ანკარა წყალსა.

მტერია ფოთისა აქაური ჭაობები, მაგრამ მოყვარეა იმით, რომ ამათის მეოხებით ქალაქის თვით-მმართველობას საქმე აქვს გაჩენილი და ჭაობის მშრობელ მუშას და იმის თა[illegible]მდგურს ხელის მოსათბობი.

მ[illegible]ერია ფოთისათვის რკინის გზა, რ[illegible]მელმაც ციეის არხი გააგუბა და, რაც ზუგდიდიდამ და ახლო-მახლო სოფლებიდამ სავაჭრო ხორაგი შემოდიოდა, ყველაფერი ერთბაშად მოუსპო ქალაქს, [illegible]ის გამოც აქაურ ხორაგეულ[illegible]ის სიძვირე საარაკო შეიქმნა. მაგრამ მოყვარეა იმით, რომ იგი აუარებელს საქონელს აგროვებს აქ და ამითი ფოთის ვაჭრობას დიდი დახლი უჯდება. ეგენი ყველანი ბუნებას და გარემოებას მიუცია ფოთისათვის მტრადაც და მოყვრადაც. ამათ შესახებ ქალაქს არაფერი არ ეკითხება, [illegible] იმისა, რომ აქაურმა ქალაქ[illegible]ლობამ ეცადოს, რაც ძალი [illegible] აქვს, შეასუსტოს, დაამცირ[illegible]უნების ცუდი გავლენა და ზედ-მოქმედება იმ ხერხით და საშუალებით, რა ხერხი და საშუალებაც სხვა ამ გვარს ქალაქებს უხმარნია. ამ ხერხთა და საშუალებათა მიგნება, გამოკვლევა და მოხმარება, რასაკვირველია, დამოკიდებულია ქალაქის მოთავეობაზე, საზოგადოების გაგებულს ნაწილზე და იმის გამჭრიახობასა და გულ-წრფელობაზე.

ს. ყ—ნი

წინაურებულ საზოგადოებაში, [...]დესაც ამისთანა ბაასს ყველანი გულმოდგინებით უსმენენ და გულის ფიცარზე იქდევენ გაგონილსა თუ [...] ამბებს წააწყდით არა ერთსა და [...] ადგილს, არამედ ყველგან და [...]ველთვის, მაშინ შეგიძლიანთ [...]მამად და იმედიანად თქვათ, რომ [...] კი წარმატების შარა გზაზე [...] საზოგადოების ბედ-იღბალი [...] ჭკუა-გონებას დაუღწევია თა[...] დაბურულ ტყე-ღელეებისათვის [...] სწორე გზიდამ იმისი გადასვლა შეუძ[...]ლოდაო.

დღემდის ჩვენში ამ ნიშანისა ჩამიჩუმიც არ იყო და ამიტომ ჩვენ არცა გვწამდა, რომ ქართველ საზოგადოებას ჰქონდეს უტყუარი წადილი რისამე ცოდნისა. რა-კი ერთი ცოტათი მაინც გონების მოსახვედრებელ საგანზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მაშინვე შემოგეფანტებოდენ შენი ძმა-ბიჭები, მეგობრები და ნაცნობები. თუ გინდოდა, რომ სრულებით მარტოკა არ გეჩანჩალებინა ოოენი შენნი, უეჭველად უნდა გემუსაიფნა ღვინოზე, ლოთობაზე, მზეთ-უნახავ ქალებზე და და სხვა ამისთანა სადარდიმანდო საგანზე; არა და—ზედაც არავინ შემოგხედავდა, სალამსაც არ მოგცემდა.

დღეის იქით-კი ჩვენი ერთხელ ალჩუე დამჯდარი კოჭი აღარ ითოხნებს და აღარც იჭუკებს. სულ ალჩუზე იჯდება და იჯდება ჩვენ-და სანუგეშებლად. და რომ ალჩუ დაგვჯდომია კოჭი, ამას გვიმტკიცებს წერილები სხვა-და-სხვა ქალაქებიდამა და დაბა-სოფლებიდამ. წერილებში გვეკითხებიან ბევრს სამეცნიერო საგნებს და გვთხოვენ მალე მივაშველოთ „პასუხი, თორემ ერთი უბედურება რამ დატრიალდება აქაო“.

თქვენ გაგიკვირდებათ, რა შუაშია უბედურება სამეცნიერო საგნებთანაო. ჩვენც ძალიან გაგვიკვირდებოდა, რომ არ ვიცოდეთ გარემოება და არ ვიცნობდეთ ჩვენის ხალხის გულ-სწრაფობას, მოძრაობას, მგრძნობიერობას და კიდევ მრავალ სხვა თვისებასა. ყური დაუგდეთ, მაგალითად, ქუთაისელ წერილსა და ჰნახავთ, რომ მეცნიერებაც-კი, თუმცა სასარგებლო, მაგრამ საშიში ყოფილა ჩვენთვის:

„ბატონო გაზეთო!

„ჩვენ ბევრს ადგილას შევსწრებივართ და მოგვისმენია გაცხარებული ბაასი იმის შესახებ—იცოდა თუ არა საქართველოს სახელოვანმა დედოფალმა თამარმა რუსული ენა. ზოგნი ამტკ[იცე]ნ, რომ იცოდა და ამიტომაც შეირთო ქ[ა]ლ[ად] რუსის მთავარიო. ზოგნი-კი იმახიან, რომ თამარმა არ იცოდა რუსული, ხოლო მისი პირველი ქმარი მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულსაო. ეს არის საგანი ცხარე ბაასისა და საშინელის კამათობისა. მოკამათენი შესჩრდებიან ხოლმე, თვალებიდამ აფრქვევენ ცეცხლსა და ხშირად ხანჯალზედაც იტაცებენ [...] თუ არ თითო-ოროლა [...] მელნიც ჩაერევიან [...]ის ჩამოსაგდებათ, ა[...]ედურება არ დატრია[...] [ბატ]ონო გაზეთო, რასაკვირვე[...]სათობა ყველგან იმითი თავდება, რომ სათუმცლიანად ვერავინ ამტკიცებს თავის აზრს და ამით გაუთავებელია საბაბი ერთმანერთის შეურაცხყოფისა. უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო გაზეთო, ამოიღოთ ხმა მაგდა დასამშვიდებლად და დასაწყნარებლად, და შეგვატყობინოთ ჭეშმარიტება. მუხლმოდრეკით გთხოვთ ჩქარა გვაშველოთ პასუხი, თორემ ერთი უბედურება რამ დატრიალდება ჩვენს შორის“.

ამ საყურადღებო წერილიდამ ორი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ. პირველი, რომ საზოგადოებას თავით ბოლომდის შეუსწავლია ისტორია თამარ მეფის ნათელ-მოსილ ცხოვრებისა და ეხლა საქმე მხოლოდ იმაზედ-ღა შემდგარა, რომ ისიც გაიგონ, იცოდა თამარ-მეფემ რუსული თუ არა. მეორე დასკვნაც ის გახლავთ, ჩემო ბატონებო, რომ აქამდის ჩვენში კამათობისა და შებაასების მიზეზებს უბრალო და სადა ამბებში ეძებდნენ, ახლა-კი საბაბად სამეცნიერო საგნებსაც წასტანებიან.

როგორც ხედავთ, ჩვენი საქმე დღეს კარგად ყოფილა

თეოდოსიძე

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ მომცეთ საშუალება, რომ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოუცხადო გულითადი მადლობა სოფ. ტაძრისის მემამულეთ: ბბ-ნ სარქის აროევს, ხაჩატურ ასძაროვს და იმათ ამხანაგებს, რომელთაც ამას წინად შეუკერეს ტანისამოსი მაუდისა ჩემის სკოლის ექვს ღარიბს მოსწავლესა. ამაზედ დაეხარჯათ ხუთი თუმანი. და აი დღეს, სამს ამ ქრისტიშობისთთვეს, კიდევ შემოსწირეს ამავე ღვთისნიერმა ადამიანებმა ჩემს სკოლას ერთი თუმანი ფული, რომლითაც უნდა შევიძინოთ უსაჭიროესი სამოსწავლო რამ ნივთი.

სკოლის მასწავლებელი
ი. ს. ნებაძე

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

(შემდეგი*)

გელათის სახარება დაწერილია ტყავზე; ფორმატი აქვს თაბახის მეოთხედი ნაწილი; შეიცავს 292 კაბადონს, ქართულ-ხუცურ ანბანით დაწერილს. იმის მკვრივს ვერცხლის ყდაზედ ცოტათი ეტყობა სიძველის ნიშანი. პირის ყდაზედ გამოჭრილია ჯვარ-ცმა ქრისტესი. ჯვარი რვა ფრთოვანია, ზედ წარწერით; ზემო ფრთაში უზის მარგალიტი. ჯვრის ზემო მხარეს გამოხატულია მზე და მთვარე, ქვემოდ-კი—გოლგოთის გორა და ადამის თავი ორ გადაჯვარედინებულ ძვალზედ. მარცხნივ ღვთის-მშობელია და მარჯვნივ ვიღაც უცნობი წმიდანი. ღვთისმშობლისა და იმ წმიდანის სურათი შემკულია 12 ძვირფასის ქვით. ამავე ყდის გარეშემო გავლებულ არშიებში ჩასმულია სხვა-და-სხვა გვარი ძვირფასი თვლები, რომელთა რიცხვი 31-მდეა. ყდის ზურგზედ გამოჭრილია სურათები მახარებელთა სიმბოლიურად: მათე ანგელოზით, მარკოზი კუროთი, ლუკა ლომითა, იოანე არწივით. უკანა ყდაზედ ჰხატია ქრისტე შიშველად; მარცხენა ხელში უჭირავს გაშლილი დრომა. მაცხოვრის გარეშემო არიან ოთხი ანგელოზი და ორი ქერაბიმი, ამათ ქვემორე—ღრუბელი, უფრო ქვემოდ ახდილი საფლავი, საცა დგას ანგელოზი. ოთხი მცველი ისრებითა, მახვილებითა და ფარებითა დავარდნილან ნიადაგზე. სახარების აზნინდებზე (შესაკრავებზე) გამოჭრილია ანგელოზები.

სურათების გარდა გელათის სახარება შემკულია ხლართულ სახეებით, სურათებით და ფერებით. ეს სამკაული სახარების მოგვაგონებს ამ გვარსავე სამკაულს საბერძნეთის და მცირედ რამ რუსეთის დასურათიანებულ ხელნაწერებისას.

შემდეგ ავტორი გრძლად და დაწვრილებით აღწერს თვით თვისებას, ხასიათს და მოყვანილობას სამკაულის ყოველის ნაწილისას ცალკე და ერთად. ტექსტის ქვეშ-იქიდამ დახატულია ორი სვეტი, რომელნიც ზემოდგან თაღივით გადაბმულია. ეს სვეტები და საზოგადოდ მთელი სამკაული შესდგება გადაბ-გადმობმულ, გადახლართ-გადმოხლართულ ყვავილებითა, რგოლებითა. აქა-იქ სამკაულში გამოხატულია ადამიანის თავები, სხვა-და-სხვა ნადირნი, შინაურნი პირუტყვნი, დედაკაცნი—გრძელის სახურავებით, ყრმანი, ანგელოზნი, ადამიანის მკლავნი, სამკუთხედნი, ჯვრები, თაიგულები, ვეშაპის თავები და მრავალ გვარი ფიგურები ცისფრად, მწვანედ, წითლად და ლურჯად. ზოგიერთ სამკაულებში მოიპოვება სურათები ძველის აღთქმიდამ. აქ ავტორი ასახელებს და აგვიწერს ამ გვარს სურათებს, ჩართულს გელათის სახარების სამკაულში. ეს სურათები აღსრულებულია მუყაითად, საქმის ცოდნით და დიდის სიყვარულით.

ასეთისავე სიყვარულით მოჰპყრობია გელათის სახარების დამსურათებელი თვით ახალის აღთქმის მოთხრობათა დასურათებასაც. მხატვარი მიჰყოლია და დაუსურათებია უმთავრესნი თხრობანი—სასწაულნი, იგავები და სხ. იმ რიგზე და იმ სახით, როგორადაც აღწერილია სახარებაში. მხატვარს თავის შრომაში, გარდა ორიოდ-სამიოდე შემთხვევისა, არ შეაქვს არც ერთი ფორმა, არც ერთი საგანი, რაიცა არ არის მოხსენებული თვით სახარების თხრობაში. ყველგან და ყოველსავე ეტყობა, რომ მხატვარი არსად არ გაუტაცნია ფანტაზიას. საქმეს იგი მოჰკიდებია დინჯად, წყნარად და ყველგან დაუცავს გასაოცარი სიჭეშმარიტე და სინამდვილე. ღირსებად ქართულ მხატვარს ჩაუთვლება ის გარემოებაც, რომ, ზოგიერთ მხატვრებსავით, თავის შრომისათვის ერთ-ფეროვნება სურათებისა, ერთ-სახეობა არ დაუმჩნევია. ყველგან უხმარია სხვა-და-სხვა გვარი სახეები და ფერები და სურათებისათვის დაუმჩნევია განსაკუთრებული, ტიპიური თვისება.

აქ ბატონს პოკროვსკის მოჰყავს აღწერილობა ახალ აღთქმის ყველა სურათებისა, რომელთა რიცხვი გელათის სახარებაში 250-ია; მათგან მათეს სახარებაში 75 სურათია, მარკოზისაში—62, ლუკასაში—71 და იოანესაში—42. ამას გარდა არიან სურათნი მახარებელთაცა და სხვა სურათნიც, რომელნიც ბოლოს იქმნებიან მოხსენებულნი.

ყველა ამ სურათებს ჩვენ აქ ვერ აღვწერთ, რასაკვირველია. მხოლოდ ყველა სახარების სურათებიდამ მოვიყვანთ თითო-ოროლა სურათის აღწერას, ისე, როგორადაც ამას მოგვითხრობს თვით პატივცემული მეცნიერი.

მათეს სახარების დასაწყისში ჰხატია თვით ეს მახარებელი და ბერძნული წარწერაც აქვს გვერდზე: მახარებელი მათე. პატივცემული, ჭაღარით შემოსილი მოხუცი დაფიქრებულის სახით ზის სავარძელზე ტაბლის წინ, რომელზედაც აწყვია საწერლო ნივთები. იმისი ფიქრით შეპყრობილი სახე მიმართულია ერთის მხრისაკენ; მარცხენა ხელი დანდობილია თავზედ, მარჯვენაში უჭერია ლერწამი და მუხლებზედ უდევს გადაშლილი წიგნი. მახარებელი არა სწერს, არამედ, როგორც ეტყობა, გატაცებულია ფიქრით. ნახატის ზემო მხარეს, კუთხეში, წარმოდგენილია ანგელოზი, სიმბოლო მახარებლის მათესი. ანგელოზს ხელში უჭირავს სახარება, ოქროს ყდით მოვარაყებული.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) ნ. „ივერიის“ № 262.

## წვრილი ამბები

— ალფონს დოდე სწერს თურმე ახალ რომანს, რომელსაც სახელად ერქმევა: „უკვდავი“. ამ რომანში დოდე ოხუნჯობს თურმე საფრანგეთის აკადემიის წევრებზე.

— სიკვდილით დასასჯელთა შორის, რომელნიც საფრანგეთის ახალის პრეზიდენტისაგან მოელიან პატიებას, ითვლება დაჟონის საპატიმროში დაპატიმრებული შომე, რომელსაც მოუკლავს და გაუცარცვავს ერთი თავისი თანამოგზაური. დაჟონში ბრალ-მდებელად არის კიუნის-კარნო, პრეზიდენტის სიძე. ეს ბრალ-მდებელი ადრევე, ჯერ როცა იმისი სიმამრი პრეზიდენტად არ იყო, თხოულობდა, რომ შომე უეჭველად სიკვდილით უნდა დაისაჯოსო. საინტერესოა, რითი გადასწყვეტავს ამ საქმის ბედს ახალი პრეზიდენტი. შეიძლება, რომ აქაც საფრანგეთის პრეზიდენტს სადი-კარნოს სიძემ ხელი შეუშალოს.

— ბრიუსელში ამ ახლო ხანს გაირჩევა საყურადღებო საქმე. რვა სოფლის მასწავლებელი უჩივის თურმე Pont-à-Celles თემსა, რომ 20 თვეა ჯამაგირები არ მიგვიღიაო. ამ მასწავლებელთ ერთად გექილი დაუჭერიათ, რომელმაც სასამართლო წესით უნდა გამოურთოს ჯამაგირები თურმე.

— ვენის თეატრში შტრაუსის ახალის ოპერა „Simplicius“-ის წარმოდგენის დროს მაყურებელთ ტრუსის სუნი გაუგიათ, ამდენი ხალხი ფეხზედ წამოვარდნილა და გარედ გასვლა დაუპირებიათ. თუმცა ცეცხლის მქრობელი რაზმიც გამოსულა სცენაზედ, დირექტორიც თეატრისა და დაუწყიათ რწმუნება, რომ არავითარიმე საფრთხე არ არისო, ყველაფერი ამაო ყოფილა. წარმოდგენა კვლავ განუგრძვიათ, ხოლო დარბაზში სულ ნახევარი საზოგადოებისა აღარ დარჩენილა. რამდენიმე კაცი დაშავებულა მაყურებელთა თეატრიდგან გასვლის დროს.

— ამბობენ, რომ სიყვარული ყველაფერის მძლევიაო, მაგრამ აი ერთი მაგალითი, რომლიდგანაც აშკარადა სჩანს, რომ ფულებს სიყვარული უძლევიათ. მაინის ფრანკფურტზე ქალაქის მოურავთან მისულან ყმაწვილი ქალი და ვაჟი და უთხოვნიათ, რომ სამოქალაქო წესით შეგვაერთეთო. როცა სანევოს გაუგია, რომ ქალი 39 წლისაა და არა 30-სა, როგორც თითონ მარწმუნებდაო, ქორწინებაზედ უარი უთქვამს და საცოლოსათვის თავი დაუნებებია. ამ დღეებში ამ ახალგაზდათ ქორწილი გადაუხდიათ და ვაჟსაც წინააღმდეგობა არ გამოუცხადებია. ამის მიზეზი ისა ყოფილა, რომ იმდენი ასი თუმანი მეტი მისცეს თურმე ვაჟსა, რამდენის წლითაც უწლოვანესი აღმოჩნდა ქალი.

— ლაუენბურგის პოლიციას გამოუცია ბრძანება, რომ თექვსმეტ წლისაზე უმცირეს ყმაწვილ კაცებს აკრძალული აქვთ ქუჩებსა, თეატრებსა, სასტუმროებსა და სხვა-და-სხვა საზოგადო ადგილებში პაპიროსის მოწევაო. ვინც ამ კანონს არ შეასრულებს, 2—20 მანეთამდე ფული გარდახდებათ ჯარიმად და თუ ფული არ აღმოაჩნდათ, დაპატიმრებულ იქმნებიანო.

— ერთის ქურდის სასაცილო მოქმედებას გვიამბობენ ინგლისის გაზეთები. გუსარის რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი პ. აღლუმების შემდეგ მიუძღოდა თურმე თავის რაზმს; უცრად მიუახლოვდა ერთი მშვენივრად ჩაცმული ყმაწვილი კაცი კოხტა და ლამაზის ცხენით და დაუწყო ლაპარაკი, თუ რომელი ცხენი სჯობიაო. ორავეს თავისის ცხენის ქება დაუწყიათ, ბოლოს დანაძლევებულან 100 მან., 14 ვერსი მანძილი ამოურჩევიათ, თუ ვინ უფრო ჩქარა მივა ცხენით იმ ადგილამდეო. ელვასავით მსწრაფლ გაჰქუსლეს ორავემ და უცნობი ყმაწვილი კაცი პირველი მივიდა თურმე დანიშნულს ადგილას. პოლკოვნიკს აღუიარებია, რომ მე წავაგე სანაძლეოვო, და ქისა ამოუღია ფულის მისაცემად. უცნობს ამ დროს დამბაჩა მიუბჯენია პოლკოვნიკისათვის გულზედ და მოუთხოვნია, რომ მთელი ქისა მომეციო. მეტი რაღა გზა ჰქონდა, პოლკოვნიკს დაუთმია ქისა. უცნობს მადლობა გადაუხდია დაფიქრებულის ლორდისათვის და უთქვამს: „თქვენო ბრწყინვალებავ, ეს შემთხვევა კარგად დაიხსომეთ, რადგან მართლაც საკვირველია, რომ კაცმა გაცარცვოს მხედარი, რომელიც თავის ჯარს წინ მიუძღვისო“.

— პრუსიის სამხედრო სამინისტროს მიუმართავს ყველა გერმანელ ტრედით მოვაჭრეთათვის და უთხოვნია, რომ მოგვიყვანეთ ამდენი-და-ამდენი ტრედი, რომელთაც პრუსიის ციხე-სიმაგრეებში შევინახავთ, რათა ვცადოთ, შეეძლებათ თუ არა წერილებისა და სამხედრო ამბების მიტან-მოტანა ზამთრის სიცივეებისა და სუსხების დროსაო.

— პარიჟში ყველა დიდის სიამოვნებით უღუღლობს თურმე ახალად გამოგონილს საკერავს მაშინას, რომლის ტარება ჯიბითაც ადვილად შეიძლება. ამ მაშინას მომგონის ბ-ნ მოლდავკოს სახელი ჰქვიან, სულ 72 მისხალი წონა აქვს და ადვილად შეგიძლიანთ საცა გინდათ, მიამაგროთ და ამუშავოთ. რაღა თქმა უნდა, რომ ეს პაწაწა საკერავი მაშინა ხელით სამუშავებელია. საეჭვოა, რომ დიდრონ სამუშაოსათვის გამოდგეს, ხოლო, ყოველს შემთხვევაში, ბევრი გაიყიდება, რადგან მოლდავკო სულ 7 მანათამდე ღირს და ისეთსავე კვირისტს უვლის თურმე, როგორც ზინგერის მკერავი მაშინა.

## გასართობი

უმეტესობა საფრანგეთის ვოდევილებისა ისეა დაწერილი, ამ პიესების ნასკვი ისეა გაკვანძულ-გამოკვანძული, რომ ადამიანს უკვირს, განა შეიძლება ცხოვრებაში ამისთანა მაგალითები, თუ ყველა ეს მთხზველის მდიდარს ფანტაზიას გამოუტყვრენია, დღელამ ამ ნასკვის გამონასკვაზე უფიქრნია და ბევრის შრომით გადაუხლართ-გადმოუხლართავს პიესაო. ეს ამბავი, რომელიც ჩვენ ქვემოდ მოგვყავს, ნამდვილი ამბავია, რადგან პარიჟის სამოქალაქო სასამართლოს მე-4 პალატაში წარმოებულა, და აშკარა საბუთია იმისი, რომ ცხოვრებაშიაც შესაძლებელი ყოფილა სავოდევილო ამბავი.

ვიღაც მ—ნი, სამხატვრო და სადურგლო სამუშაოთა იჯარადარი, ცოლიანი კაცი და რამდენისამე შვილის მამა, დაჰმეგობრებია 1883 წ. ხურო-მოძღვარს ჟ—ნს. ეს ჟ—ნიც ცოლიანი კაცია, რვა შვილის მამაა. ამ ორს ოჯახობას ერთმანერთთან ნაცნობობა გაუბამთ, მისვლა-მოსვლა ჰქონიათ და ბოლოს ისე შესჩვევიან ერთმანერთს, რომ როცა 1885 წ. ჟ—ნს სენ-მორენში თავისთვის სადგომი დაუქირავებია, მ—ნის სახლობისათვის ცალკე ოთახი მიუცია თავის გვერდით. ამ ორთა სახლობათა ასე მეტის-მეტს დაახლოვებას ის შედეგი მოჰყოლია, რომ ერთს დღეს ჟ—ნს მ—ნის ცოლისათვის გამოუცხადებია სიყვარული და მ—ნს ჟ—ნის ცოლისათვის. მანდილოსნებიც დათანხმებულან და ასეთის უწესო საქციელისათვის რომ რამე კანონიერი გზა მიეცათ, ერთი მოუგრიათ თავი ორსავე სახლობას და

დგენიათ შემდეგის პირობის დაწერა ღერ-ბის ქაღალდზე:

„ჩვენ, ამისა ქვემორე ხელის მომწერელ-ნი, ხუროთ-მოძღვარი უ—ნი და კანონიე-რი მეუღლე უ—ნისა ერთის მხრივ და იჯა-რადარი მ — ნი მეუღლითურთ მეორეს მხრივ, შევკარით ურთიერთ შორის შემდეგი პირობა: მე, უ—ნი, ნებას ვაძლევ ჩემს მე-უღლეს კავშირი იქონიოს მ—თან და ყოველ მხრივ თავისუფალი იყოს, იმ პირობით-კი, რომ გარეგნივ ჩემი და ოჯახის პატიოსნება არა-ფრით შებღალოს. მეც, მ—ნი, ჩემის მხრივ, ვაძლევ ჩემს მეუღლეს იმ გვარსავე თავი-სუფლებას, რა გვარსაც უ—ნი თავის მეუ-ღლეს აძლევს. ესე პირობა შედგენილია ორს ეგზემპლიარად და ვალდებულნი ვართ წმინდად და ხელ-შეუხებლად დავიცვათ (ბოლოს პირობის შემკვრელთა სრული სა-ხელი და გვარია მოწერილი)“.

მართლაც, ორივე სახლობა რამდენსამე ხანს რიგიანად ასრულებდნენ ამ პირობას, ხოლო ერთხელ ქ-ნს უ—ნს ჩხუბი მოსვ-ლია თურმე თავის კანონიერ და ნამდვილ ქმართან, თავი დაუნებებია შვილებისათვის და მ—ნის ოჯახში გადასახლებულა. ცოფ-მორეულს ხუროთ-მოძღვარს დაუძახნია პოლიციის მოხელე, უთქვამს, ჩემი ცოლი მღალატობსო, და სასამართლოში საჩივარი შეუტანია—განქორწინება უთხოვნია. ეს საქ-მე პარიჟის სამოქალაქო სასამართლოს 3 დეკემბერს გაურჩევია და მსჯავრის დადგე-ნა ერთის კვირით გადაუდვია. იქნება შეძ-ლება მოგვეცეს და შემდეგში გუამბოთ ჩვენს მკითხველებს, თუ რითი გადაწყდება ეს ახი-რებული საქმე...

კითხულობ ამ ამბავს და გიკვირს, რა არის მიზეზი, რომ განათლებულ ქვეყნის განათლებულს ხალხში სუფევს ასეთი ზნე-თა გახრწნილება, ასეთი თავ-აუღებელი გა-დალახვა ადამიანის უპატიოსნესის გრძნო-ბისათ...

---

ბ-ნი პეტრე ბელლი გვთხოვს ხელ-მეორედ და უკანასკნელად დაუბეჭდოთ შემდეგი და-მატება იმ წერილისა, რომელიც „ივერიის“ მე-263 №-ში იყო დაბეჭდილი კატის გან-თავისუფლების შესახებ. აი ეს დამატებაც: „ის გარემოება, რომ მე არავითარი უწე-სობა და ურიგობა არ ჩამიდენია, როცა ქალით კატას გამოვესარჩლე, შემიძლიან დავამტკიცო მრავალ იქ დამსწრეთა მოწ-მობით. რაც შეეხება თვით კატას, რომელ-საც მე გამოვესარჩლე, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი კატა ექვს დღემდე დამწყვდეული იყო ფურნეში უსმელ-უჭმელად.

„ორიოდე სიტყვა კიდევ ყმაწვილზე. მე რომ მცოდნოდა, თუ ყმაწვილს რამე აუტყ-დებოდა იმ ღამეს, რასაკვირველია, სრულიად სხვა საშუალებას ვიხმარებდი კატის გასან-თავისუფლებლად.

---

# დეპეშა

14 დეკემბერი

ლიუტიხი. აქაურს სათოფ-იარა-ღო ქარხანას ბოლგარიის მართებ-ლობამ შეუკვეთა ორმოც-და-ათი ათასი თოფი პატარა ზომისა.

ვენა. დოქტორი ქივნი, რედაქ-ტორი სლავიანურის გაზეთისა, ძმისძე განსვენებულის სკრეიმოვსკი-სა, დაუპატიმრებიათ, რადგანაც ბრალდება სახელმწიფო ღალატი.

ლონდონი. რადგანაც აქ ძალიან იყიდება რუსეთის სარგებლიანი ქაღალდები, ამიტომაც ამ ქაღალ-დების ფასი ძალიან დაეცა აქაც და ბერლინშიაც.

ვენა. „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ ის ხმა, ვითომ განზრახვა აქვთ გაგზავნონ პეტერბურგს ერ-თი რომელიმე წევრი სამეფო გვა-რისა, ან ერთი რომელიმე მოსამ-სახურე გვამი, მართალი არ არი-სო. გაზეთი ამბობს, რომ ამის შე-სახებ არა უფიქრნიათ-რა უმაღ-ლესს წრეებშიო.

16 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ პეტერბურ-გის ნიკოლოოზის ობოლთა ინს-ტიტუტმა იდღესასწაულა ორმოც-და-ათის წლის შესრულება თავის დაარსებისა პარაკლისზედ, რომე-ლიც გადაიხადა მიტროპოლიტმა, ბრძანდებოდნენ: მათი უდიდებულე-სობანი, ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და სხვა-ნი უმაღლესნი კაცნი.

იმის გამო, რომ ნიჟნი-ნოვგო-როდში გამართულ იქმნა სასწავ-ლებელი, რომელშიაც უნდა მო-ემზადნენ კასპიის ზღვასა და ვოლ-გაზე მოსიარულე გემებისათვის კომანდირები, ხელმწიფე იმპერა-ტორმა კეთილ-ინება და ბრძანა, რომ იმედია, ამ სასწავლებლის გამართვა სხვათათვისაც მაგალითი იქნება და სხვანიც ხელს მოჰკი-დებენ ამ კეთილსა და საჭირო სა-ქმესაო.

ორშაბათს ხელმწიფე იმპერა-ტრიცამ ინახულა ლორდი ჩერ-ჩილი მეუღლითურთ.

სახელმწიფო ქონებათა სამინი-სტროს მიერ შედგენილი პროექ-ტი იმის გამო, თუ ამიერ-კავკასი-ის აღმოსავლეთი ნაწილი როგორ უნდა ირწყობოდეს, შეტანილ იქმნა სახელმწიფო საბჭოში.

„С.-Петерб. Вѣд.“-ი ამბობს, რომ ამ ახლო ხანებში ბევრს ად-გილას გაიმართება საპროფესიო-ნალო სასწავლებლები, რომელ-შიაც შეგირდები სამს წელიწადს უნდა სწავლობდნენო. ამავე დროს განზრახვა აქვთ რეალურ სასწავ-ლებლების პროგრამა შესცვალონ იმ გვარად, რომ ამ სასწავლებ-ლებში ინჟენერთა და მეხანიკოსთა ხელ-ქვეითნი მზადდებოდნენ. რაც შეეხება სამხედრო ბეგარას, რეა-ლურ სასწავლებლებში მოსწავ-ლეთ შეუძლიანთ მე-2 ხარისხის უფ-ლებით სარგებლობდნენო.

მასსოვი. როგორც ხმა ისმის, ნეგუსი გამოიყვანს საბრძოლველ-ლად ორს ლაშქარსა და ამ ორს მესამეც უკან მოჰყვება, რომელიც ნეგუსის ქვეშევრდომ სამეფო შოა-შია შეკრებილიო.

პეტერბურგის ბირჟა, 15-ს დეკემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 16 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 182 3/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . | — » | — » | 1 35 |
| 5% პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 276 1/2 |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 249 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . | — » | — » | — « |
| ტფილისის ურთიერ-თო ნდობის საზოგადო-ებისა . . . . . . . | — » | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წე-ლიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**17 დღე ხუთშაბათი.** წმ. წინ.-მეტყ. დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი, მისაილისა. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. ქალწულ. ინდოსისა და დომიანესი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დამტკიცებულ იქმნა წესდება წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისა, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 16 დღისაა.

**18 დღე პარასკევი.** წმ. სებასტიანესი. კათოლ. მოლოდინი ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—39. მთვარე 17 დღისაა.

**19 დღე შაბათი** წმ. მოწ. ბონიფატესი და გრიგოლ არხიეპისკ. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმინდა პირველ. მოწ. მეფისა სომეხთა აბგარისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3, ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—40. მთვარე 18 დღისაა.

**20 დღე კვირა.** მოწ იგნატ ეპისკ. კათოლ. მე-4 კვირა ადვენტისა. სომეხ. ჰისნაკაცი (ქორწინებათა ნება ეძლევათ). მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27 ჩადის 4—41. მთვარე 19 დღისაა.

**21 დღე ორშაბათი.** ქალწ.-მოწ. ულიანესი. კათოლ. წმ. მოციქ. თომასი. სომეხ. წმ. აბრაამისა, ხორენისა, კოსმასი და დამიანესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41. მთვარე 20 დღისაა.

**22 დღე სამშაბათი.** დიდ. ქალწ.-მოწ. ანასტასიასი და ხრისოგონისა. კათოლ. 22 და 23-ს დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. მოწ. ასტვაწატურისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—42. მთვარე 21 დღისაა.

**23 დღე ოთხშაბათი.** წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა: თეოდულასი და სხვათა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43. მთვარე 22 დღისაა.

**24 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ.-მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი შობისა. სომეხ. წმ. დავით წინ.-მეტყვ. და წმ. იაკობ მოციქულისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44. მთვარე 23 დღისაა.

---

გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | | | 3 » |
| » | 2 | » | 2 1/2 » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | 5 » |
| » | » 2— | | 3 1/2 » |
| » | » 3 | » | 3 |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | | | 5 » |
| მე-2 ხარისხისა . . | | | 4 » |
| მე-3 — . . . | | | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 7 » |
| » | 2 | » | 6 » |
| სუკი . . . . | | | 13 » |
| ძროხის ხორცი . . . | | | 7 » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | | 6 » |
| » | 2 | » | 5 » |

კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

**თამარიანი**

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 60 კაპ. (10—9)

КАКАО БЕЗЪ МАСЛА

С. СІУ и К°. (50—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე

დიდძალი გასყიდვა სრულიად უშიშარის ფიდურის სანთებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქ ა რ ხ ა ნ ა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში. (50—9)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 » | 5 „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . | 8 „ 75 » | 4 „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . | 8 „ — » | 3 „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 „ . . . | 7 „ 25 » | 2 „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 „ . . . | 6 „ 50 » | 1 „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

НА 1888 ГОДУ

АРМЯНСКАЯ ГАЗЕТА

„МШАКЪ“

(ГОДЪ 16-й).

Будетъ издаваться въ Тифлисѣ по прежней программѣ и въ тѣ-же сроки.

**Программа**: I. Правительственныя распоряженія. II. Передовыя статьи. III. Внутреннее обозрѣніе (Общія статьи, корреспонденціи, извѣстія). IV. Внѣшнее обозрѣніе (Общія статьи, корреспонденціи и извѣстія). V. Смѣсь. VI. Фельетонъ (Беллетристическія, популярно-научныя, общественныя, экономическія и проч. с[illegible] Телеграммы. VIII. Биржа. IX. Объявленія.

**Подписная цѣна**: повсемѣств[illegible] рублей, на полъ-года 6 рублей, по мѣсячно 1 рубль.

За объявленія взимается по 2 копѣйки со сл[illegible] объявленій, печатаемыхъ не менѣе десяти разъ, дѣлается значительн[illegible] уступка.

На первой страницѣ не печатаются никакія постороннія объявленія, кромѣ *траурныхъ*. Плата за траурное объявленіе: на первой страницѣ 4 рубля, на послѣдней 2 рубля.

АДРЕСЪ для подписчиковъ въ предѣлахъ Имперіи: **Тифлисъ**, Редакція газеты „**Мшакъ**“.

Для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, Rédaction du journal arménien „Mschak“.

(3—1) Редакторъ-Издатель **Григорій Арцруни**.

ценз. Тиф. 16 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.